პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 200 (10 119) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პირველი ქართველი ოლიმპიელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ახლახანს, 14 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა პაატა ნაცვლიშვილის სტატია (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების საგაზეთო ვარიანტი) „საქართველოს ოლიმპიური პოტენციალი“, სადაც ვკითხულობთ: „1917 წლამდე საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და საქართველოს წარმომადგენელი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას რეალურად მხოლოდ რუსეთის გუნდის შემადგენლობაში თუ მიიღებდა, მაგრამ ეს არ მომხდარა, თუმცა რევოლუციამდე რუსეთმა ორჯერ (1908 და 1912 წლებში) გაგზავნა გუნდი ოლიმპიადებზე“. და შემდეგ... „ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარმომადგენლები პირველად 1952 წელს, ჰელსინკის ოლიმპიადაზე გამოჩნდნენ“.

აქ ავტორი უნებლიეთ უზუსტობას უშვებს (რაც, ცხადია, ჩრდილს არ აყენებს მის სტატიას, სადაც უამრავი სტატისტიკური მასალა მოჰყავს და რომელსაც, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ოლიმპიურ მოძრაობაში საქართველოს დამოუკიდებლად ჩაბმის იდეის პროპაგანდისათვის). საქმე იმაშია, რომ 1912 წლის ოლიმპიადაზე მივლინებულ რუსეთის დელეგაციაში, 169 სპორტსმენს შორის იმყოფებოდა და ცხენოსანთა გუნდში გამოდიოდა თავადი ჭავჭავაძე (იხ. Бегунова А. В. «Звонком топоте копыт». М., «Физкультура и спорт». 1989. გვ. 104-105).

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცნობილი არ არის ცხენოსნობის რომელ სახეობაში გამოდიოდა თავადი ჭავჭავაძე (შეჯიბრება ტარდებოდა სამ სახეობაში: ცხენის გაწვრთნაში, სამჭიდსა და დაბრკოლებათა გადალახვაში) და რომელი ადგილი დაისაკუთრა მან. უცნობია მისი სახელი და ბიოგრაფია. ყოველივე ამისთვის ნათლის მოფენა, როგორც ჩანს, მომავლის საქმეა და ალბათ შემდგომი კვლევა სასურველ შედეგს მოიტანს. დღეს კი, როდესაც ბრძოლა მადის იმის მისაღწევად, რათა საქართველომ დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო ოლიმპიურ ცხოვრებაში და დიდი რუდუნებით აღირიცხება ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე თითოეული ქართველი. მთავარი ის არის, რომ თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი თანამემამულის მონაწილეობის თარიღმა სულ ცოტა 40 წლით გადაიწია წინ. ყოველ შემთხვევაში, სავსებით რეალურია, ქართველის სახელს მივაკვლიოთ თუნდაც 1908 წლის ოლიმპიადაში მონაწილე რუსეთის იმპერიის სპორტული გუნდის შემადგენლობაში. ალბათ, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმ თავისი მოღვაწეობა ამ მიმართებითაც უნდა გაშალოს.

გიორგი მაისურაძე,
საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის ცენტრის პასუხისმგებელი მდივანი.

რედაქციისაგან: ვინ იყო 1912 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ცხენოსნობაში თავადი ჭავჭავაძე? თუ ვინმემ რაიმე იცით ამ პიროვნების შესახებ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები (შეგიძლიათ დაგვირეკოთ 99-56-14). ხეოკ-ის აღმასკომმა თავის მხრივ უკვე დაიწყო მუშაობა თავად ჭავჭავაძის ვინაობის დასადგენად.

სა, სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

სეოკ-ის დამფუძნებელ კონფერენციაზე...

გზა აღიარებისაკენ

დღეს გთავაზობთ კიდევ ორ გამოსვლას

თამაზ კვაჭანტირაძე — რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტი:

ქალბატონებო და ბატონებო! სიჯანსაღე ალბათ თვისებაც არის, როგორც პირუკუ, თვისება სიჯანსაღეც გახლავთ. ეს ორი ცნება გადანასკვულია ერთმანეთთან. ჩვენს ერს აკლდა თავისუფლება და სიჯანსაღე. ორგკომიტეტის შესანიშნავ მოხსენებაში ბევრი საინტერესო ფაქტი იყო მოტანილი. ვფიქრობ, ჩვენ ერთ-ერთი უჯანმრთელესი ერი ვართ. ისე ერთს კი ვიტყვი: მე არ მინდა დისონანსის შეტანა, ამის მიღმა პრობლემებიც უამრავია. ზოგჯერ ისეთ ვითარებაშიც ვიყავით, რომ ერთ სულ მოსახლეზე ბევრი რამ ჭირდა, ექიმს ვერ ვიტყვი. ეს სხვა სფეროა. დღეს რომ ჭეშმარიტად სახალხო, მასობრივი სპორტული მოძრაობა მძიმე ხვედრს განიცდის, ესეც სათქმელია. დღევანდელმა დღემ დიდი რწმენა მოგვცა, დღემ, როცა იქმნება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. სპორტი არის მოდელი გამარჯვებისა, იგი მოდელია იმისაც, რომ, რაც მსოფლიოში უსამართლობაა, დაიძლიოს და გასწორდეს.

თქვენ იცით „ვეფხისტყაოსანში“ თამაში ყმა თავის პატრონს რას ეუბნება: ჰა, ბურთი და მოედანი, შეეჯიბროთო. ეს არის სპორტში თანასწორობა, რომელიც ჩვენი ხალხის ოდინდელი ტრადიცია გახლავთ. სპორტი ჰუმანური სფეროა, ბევრი პრინციპი საუბედუროდ დაირღვა, როცა დემოკრატიზმი არსად არ ჭაჭანებდა. სპორტი მუდამ უნდა იყოს ის მოედანი, სადაც ადამიანს შეუძლია თავისი შესაძლებლობა გაოაჩინოს.

ოლიმპიური თავისუფლება შემადგენელი ნაწილია ჩვენი საერთო თავისუფლებისა. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ჩვენ რომ ასე დავსვათ საკითხი, ჯერ გავთავისუფლდეთ და შემდეგ გავჯანსაღდეთო, არ იქნება სწორი. გაჯანსაღება გვჭირდება თავისუფლებისათვის. ისინი ერთიანობაში უნდა წარმოვადგინოთ და ვერაფერს დავუცდით. უკვე შექმნილია საფუძველი ოლიმპიური სუვერენიტეტისათვის და ამ გზაზე ეროვნულ, პოლიტიკურ სუვერენიტეტს ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ცრემლი და კურცხალი მარტო უბედურების დროს არ მოგვდის, ბედნიერებამაც იცის ცრემლი და კურცხალი. მინახავს ბედნიერების ცრემლი და ღმერთმა გვანახოს ბედნიერების ცრემლი ოლიმპიური სტადიონის ცის თაღზე საქართველოს ეროვნული დროშის აზიდვის დროს. დე იხაროს ჩვენმა სრულიად ერთიანმა საქართველომ.

ჯემალ სეფიაშვილი — ისრაელის თვრამეტგზის ჩემპიონი შაშში:

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო! ძვირფასო თანამემამულენო! ჩემს მშობლიურ საქართველოში რამდენიმე დღეა ჩამოვედი. ჯერ ჩემს კუთხეში ქუთაისში, შემდეგ თბილისში. სპეციალურად ჩამოვედი, რომ თქვენს კონფერენციას დავსწრებოდი და მიმელოცა. ისრაელში იციან საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ.

რამდენიმე წლის წინათ, როცა ქართველი ებრაელობა საქართველოს ვტოვებდით, ფიცი დავდეთ: თუკი როდესმე დასჭირდებოდა საქართველოს დახმარება, სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, დავხმარებოდით, მიგულეთ შეგობრად. მეც და ყველა უცხოელი ემიგრანტი მზარს დაგიჭერთ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნაში. თქვენ თუ არ შეგიძლიათ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განცხადების შეტანა, ჩვენ შევიტანთ თქვენ მაგივრად, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, დაგეხმარებით ფინანსურად.

თქვენი ოლიმპიური ჩემპიონები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ღირსებას დაიცავენ. ეს ქართველი ებრაელობის ოცნებაცაა.

მსოფლიოს მოუწოდეს

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართა ევროპის IX სპორტული კონფერენცია, რომლის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს „ევროპული სპორტის ქარტია“, რომელშიც ხაზგასმულია მშვიდობის გადამწყვეტი მნიშვნელობა და ხალხებს შორის კეთილი ურთიერთობის როლი სპორტის შემდგომ განვითარებაში. ქარტიაში აღნიშნულია, რომ სპორტი ხელს უწყობს ახალგაზრდობის აღზრდას პატიოსანი მეტოქეობის გზით.

ქარტია მოითხოვს, „არ დაუშვან სპორტში დისკრიმინაცია პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით“.

სპორტულ ჟურნალისტთა საუურადღებოდ!

პარასკევს, 20 ოქტომბერს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში სპორტულ ჟურნალისტთა რესპუბლიკური ფედერაცია ატარებს პრესკონფერენციას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტთან ნონა გაფრინდაშვილთან, ხოეკ-ის სხვა ხელმძღვანელებთან და აღმასკომის წევრებთან.

პრესკონფერენცია 11 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი.

დონეცკი. ადგილობრივი „შახტიორი“ მასპინძლობდა ცსკა-ს. არმიელებმა მატჩის ბედი ფაქტიურად შეხვედრის პირველ ნახევარში გადწყვიტეს, რომელიც მოიგეს 21 ქულის სხვაობით — 58:37. შესვენების შემდეგ დონეცკელმა კალათბურთელებმა ყველაფერი იღონეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, შეამცირეს კიდეც სხვაობა ანგარიშში, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ — 90:100.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

„კალევი“ (ტალ.)	8	7	1	15
ცსკა	8	7	1	15
ვეფ (რიგა)	8	5	3	13
ასკ (ალმა-ათა)	8	5	3	13
„დინამო“ (მ.)	8	5	3	13
„ბუდიველნიკი“ (კ.)	8	4	4	12
„შახტიორი“ (დონ.)	9	3	3	12
„ყალგირიხი“ (კ.)	8	3	5	11
რტი (მინსკი)	8	3	5	11
„სპარტაკი“ (ლენ.)	8	3	5	11
„სტატიბა“ (ვილნ.)	8	2	6	10
„დინამო“ (თბ.)	7	1	6	8

გია გიორგაძის კიდევ ერთი პრიზი

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ ოდესაში დამთავრებულ მოჭადრაკე ვაჟთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატში საუკეთესო ფინიშისთვის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა თბილისელი საერთაშორისო ფსტატი გია გიორგაძე. ახლა შევიტყვეთ, რომ გ. გიორგაძე კიდევ ერთი პრიზის მფლობელი გახდა — ბორის გელფანდთან ერთად მან ეს ჯილდო შავი ფიგურებით საუკეთესო შედეგისთვის დაიმსახურა.

გოლო ტურის წინ — ერთნაირი ანგარიშით

გოლო, VIII ტურის შეხვედრები დარჩა სათამაშო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაჟთა ნახევარფინალურ მატჩებში. ჯერჯერობით ორივეგან ერთნაირი ანგარიშია — 3,5:3,5. VII პარტიაში დაზავდნენ არტურ იუსუპოვი და ანატოლი კარპოვი, ხოლო იან ტიმანმა ტაიმაუტი გამოიყენა ჯონათან სპილმენთან შეხვედრაში.

ბოლო, VIII პარტიები გუშინ, გვიან ღამით უნდა დამთავრებულიყო. იმ შემთხვევაში, თუ ეს შეხვედრები ყაიმით დამთავრდა, დაინიშნება 2-2 დამატებითი პარტია, თუ ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდებიან გამარჯვებულნი, ბრძოლა პირველ მოგებამდე გაგრძელდება (ოღონდ დროის შემცირებული რეგლამენტით).

ნაკლოვანებების ანალიზი მომავალი წარმატებების საწინდარია

ჭიბუკთა IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს წარგზავნილთა წარმატებით გამოსვლაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. და მაინც, მთავარი საქმე — ფაქტების და მოვლენების განხილვა, მთელ რიგ სახეობებში წარუმატებლობის ანალიზი ბოლოს უნდა გაკეთებულიყო.

ტრადიციისაებრ ეს ხდება საქართველოს სპორტსახკომის გაფართოებულ კოლეგიის სხდომაზე, სადაც ერთობლივად განიხილავენ საკავშირო კომპლექსურ ღონისძიებათა საბოლოო შედეგებს. ერთი სიტყვით, ამ სხდომაზე ყველაფერი დაუფარავად უნდა თქმულიყო და ითქვა კიდეც...

როგორც ადრე დაგპირდით დღეს ჩვენ მხოლოდ ნაკლოვანებებზე გავამახვილებთ უურადღებას, რადგან სწორედ ნაკლოვანებების მხილება და მისგან გონივრული დასკვნების გამოტანაა შემდგომი წინსვლის ჭეშმარიტი საწინდარი.

ვახტანგ მასარაძე — სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კოლეგიის წევრი, თამაშების შედეგებზე მთავარი მომხსენებელი:

წარმატება უდავოა, მაგრამ მიღწეული არ გვაკმაყოფილებს. სერიოზული გამოცდა გველის სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადაზე და 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში. ამიტომ კრიტიკულად უნდა გავაანალიზოთ ახალგაზრდული თამაშების შედეგები.

თუ სიამაყით ვითვლიდა თამაშებში მოპოვებულ მედლებს, ისიც უნდა ეთქვათ, რომ წინა თამაშებთან შედარებით სპორტის 12 სახეობაში გაუარესდა შედეგები, 20 სახეობის წარმომადგენლებმა კი ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვეს. სამწუხაროდ, ასეთ სახეობებს შორის მოხვდა წყალბურთელ ქალთა გუნდი, ძიუდო, ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე), ვაჟთა ხელბურთი. მწვავე კრიზისს განიცდის სტრატეგიული სახეობები: ცურვა, მძლეოსნობა, ნიჩბოსნობა. ცურვასა და ნიჩბოსნობაში გაითამაშდა შედლეგის 67 კომპლექტი. ჩვენი უნიათო მუშაობის შედეგად ვერ შევძელით არა თუ თუნდაც ერთი მედლის მოპოვება, გუნდურ ჩათვლაში ათეულის მიღმაც კი დავრჩით, წინა თამაშებთან შედარებით უკან დავიხიეთ. მძლეოსნობაში ნაცვლად 100 სპორტსმენისა ჩვენგან გამოდიოდა 20, აქედან მხოლოდ 8 მძლეოსანმა მიიღო ჩასათვლელი ქულა. გუნდმა კი ნაცვლად დაგეგმილი X ადგილისა დაიკავა XXI ადგილი. მოცურავეთა მწვრთნელები ი. ტიმოშკინი, ე. ზაქარეიშვილი გამოთავისუფლდნენ ნაკრებიდან, ა. კლიმენკო კი პირობითად დარჩა გუნდში, ორ სპორტსმენს სტიპენდია მოეხსნა შედეგების გაუარესებისთვის.

სპორტის მთელ რიგ სახეობებში ნაკლოვანებების გამო პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გაინაწილონ, როგორც სპორტსახკომის სამმართველოებმა და განყოფილებებმა, ისე უმაღლესი სპორტული დოსტატების სკოლებმა, უწყებებმა და სპორტსაზოგადოებებმა.

საქართველოს სპორტული დელეგაციის 513 სპორტსმენი წარმოადგენდა 34 რეგიონს, თითო სპორტსმენი იყო 15 რეგიონიდან, 2-დან 5-მდე 10 რეგიონიდან, ხოლო 28 რეგიონიდან არც ერთი სპორტსმენი არ ყოფილა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში. დასკვნა ამ ფაქტებიდან მხოლოდ ერთია: მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები უარყოფითად მოქმედებს რეზერვის მომზადებაზე. პოზიციებს თმობენ რესპუბლიკის ავტონომიური რეგიონები, ხოლო თბილისის წარმომადგენელთა სომრავლე ნაკრებ გუნდებში დედაქალაქის სპორტკომიტეტის დამსახურებად ვერ ჩაითვლება. თამაშებში თავი იჩინა აგრეთვე აღმზრდელობით მუშაობაში დაშვებულმა ხარვეზებმა. მოხდა სერიოზული ინციდენტები, ირღვეოდა რეჟიმი, დისციპლინა. რაც ადრე ჩვენი კოლეგიის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა.

იხ. გვ. 2 -ზე

ნაკლოვანებების ანალიზი მომავალი წარმატებების საწინდარია

(დასასრული)

რევაზ აიწურაძე — სპორტსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის წევრი:

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში (უფროსი მწვრთნელი ივანე ნიკოლაძე) თავი რომ არ ეჩინა შეცდომებს, გუნდს მეტის მიღწევის პოტენციური შესაძლებლობა ჰქონდა.

არც სამბოშია საქმე დამაიმედებელი (უფროსი მწვრთნელი ი. იათე). ამ სახეობაში უნდა ამაღლდეს დისციპლინა, მომთხოვნელობა, სასწავლო-საწვრთნო პროცესის დონე. კვლავ არადამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ ძიუდოისტი გოგოები (უფროსი მწვრთნელი გ. ველიჯანაშვილი).

უაღრესად არადამაკმაყოფილებლად იასპარეზეს მძლეოსნებმა. ამ საკითხებზე საგანგებოდ იმსჯელა სპორტსახკომის კოლეგიამ. გადახალისდა განყოფილება. პირველად სსრ კავშირში ჩვენთან შეიქმნა მძლეოსნობის ექსპერიმენტული რესპუბლიკური გაერთიანება.

ვერ გარდაქმნეს მუშაობა სპორტულმა სკოლებმა, სუსტია კონტროლი, თავი იჩინა მწვრთნელთა შორის ამბიციებმა, არაკოლეგიალობამ, ეგოიზმმა, ჯგუფების დაკომპლექტება ხდება არა პერსპექტიული მოზარდებით, არამედ როგორმე შეკოწიწების პრინციპით. რესპუბლიკის 20 ქალაქსა და რაიონში საერთოდ არ მუშაობს მძლეოსნობის სპეციალისტი, ჯგუფებზე თანხები კი იხარჯება. მუშაობიდან კრიტიკული დასკვნები ვერ გააკეთეს და ვერ გარდაიქმნენ სპეციალიზებული სპორტსკოლების დირექტორები ე. ლომთათაძე, თ. ჯოხაძე (ორივე პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), რ. მამალაძე (რუსთავი), ლ. ახვლედიანი (ქუთაისი), ლ. ნანიეი. (ცხინვალი), ბ. კიუტი (სოხუმი), გ. ბოხუა (ბაფუმი). ამ სკოლების შენახვა წელიწადში ორ მილიონ მანეთამდე ჯდება. უკუგება? ბოლო სამ წელიწადში მომზადდა მხოლოდ ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (ბ. გოცირიძე). ლენინგრადში კი, მაგალითად, გაცილებით ნაკლები დანახარჯებით ყოველწლიურად ამზადებენ 4-5 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს. ახლახანს კიშინიოვში სპეციალიზებული სპორტული სკოლების ზონალურ პირველობაში, სადაც 10 გუნდი გამოდიოდა, პროფკავშირების სკოლა V იყო, თბილისის განათლების სამმართველოს სკოლა — VI, განათლების სამინისტროს სკოლა კი ბოლო, X ადგილზე გავიდა.

კოლეგიის სხდომა უახლოეს ხანებში კვლავ დაუბრუნდება მძლეოსნების საკითხს.

უკეთესობისკენ აიღო გეზი ველოსპორტმა, მაგრამ საშუალოა, რომ აქ თავი იჩინა არაჯანსაღმა ურთიერთობამ. ვფიქრობთ, დაძაბული ატმოსფერო მალე განიმუხტება საერთო საქმის სასარგებლოდ. დადებითი ძვრებია მშვილდოსნობაში, მაგრამ არ გაგვაჩნია სრულყოფილი სპორტული ბაზა.

სერიოზული პრეტენზიები გვაქვს ცხენოსნობის მიმართ, მუშაობის გარდაქმნა მართებთ მოფარიკაველებს, მოკრივეებს, სასტენდო მსროლელებს. ამ სახეობების სპეციალისტები ვერ ხედავენ საკუთარ ნაკლოვანებებს და შეცდომებს.

ჯანსუღ ბაბრაჟიონი — სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის წევრი:

კალათბურთელთა გუნდში დაბალი იყო დისციპლინა, ამის შედეგი იყო, რომ გუნდმა დაკარგა ბრძოლისუნარიანობა, კოლეგიამ უკვე იმსჯელა ამ საკითხზე და დასაჯა კიდეც დამნაშავეები.

წყალბურთში მწვრთნელებმა ვერ მოახერხეს შეექმნათ ერთიანი მობილური კოლექტივი. ჯერ კიდევ თამაშებამდე წესრიგის დარღვევისთვის დისკვალიფიკაცია მიეცა ზ. დავითიანს. თამაშების დროს დაშვებული იქნა ტაქტიკური ხასიათის შეცდომები.

უკეთ შეეძლოთ გამოსულიყვნენ ვაჟ ხელბურთელებს, მაგრამ გუნდში არ იყო ერთსულოვნება, რაშიაც მეტწილად სცოდავდნენ მწვრთნელები. ფრენბურთში ჩვენი საიმედო გუნდი ფაქტობრივად თამაშებამდე დაიშალა — 5 მოთამაშე ჯარში გაიწვიეს, იმათგან 4 აზერბაიჯანის გუნდში თამაშობდა, ერთი — მოსკოვისაში.

გამოცდილება და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური მომზადება აკლდათ მაგიდის ჩოგბურთელებს, რასაც დაემატა მწვრთნელთა ტაქტიკური ხასიათის შეცდომები.

სპეციალისტთა და მწვრთნელთა შორის არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ იჩინა თავი ჩვენთვის სრულიად ისეთ ახალ სახეობაში, როგორიცაა კეტბუოთი.

ჯემალ მიქელაძე — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კოლეგიის წევრი:

ბოლო წლებში მუშაობა შეასუსტეს საზოგადოების აფხაზეთის, აჭარის და ქუთაისის ორგანიზაციებმა. მათ მხოლოდ 8 სპორტსმენი მისცეს ახალგაზრდულ ნაკრებს. ამ ფაქტს მკაცრი შეფასება მისცა ჩვენი საბჭოს პრეზიდიუმმა. წყალბურთელთა გუნდში აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლამ, მწვრთნელ ი. ქართველიშვილის პირადი სკმეებით გატაცებამ იქამდე შიიყვანა საქმე, რომ ნაცვლად დაგეგმილი ბრინჯაოს მედლებისა, გუნდი გავიდა IX ადგილზე.

უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სასტენდო სროლებში. აქ დინამოელთა წვლილი ნულს უტოლდება. სრული უპასუხისმგებლობა და უყურადღებობა სპორტსმენთა მიმართ, სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის გაუთავებელი კინკლაობა — აი, რა არის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ბაზის უქონლობასთან ერთად. ჩვენ ასევე მკაცრად ვგმობთ ვაჟ კალათბურთელთა საქციელს, რომელზედაც ადრე იმსჯელა სპორტსახკომის კოლეგიამ, ფაქტები და კოლეგიის შეფასებები კი „ლელოში“ გამოქვეყნდა.

მთელი პრინციპულობით მოვთხოვეთ სახეობებში შექმნილი მდგომარეობიდან კრიტიკული დასკვნების გამოტანა მოცურავეთა, თანამედროვე ხუთჭიდელთა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა უფროს მწვრთნელებს კირდიანოვს, ალავიძეს, გოგოლაძეს. ამ სახეობებში დინამოელთა მონაწილეობა თამაშებში ჩვენს პრეზიდიუმზე შეფასდა არადამაკმაყოფილებლად.

სპორტული განყოფილებისა და სასწავლო-სპორტული ცენტრების მუშაობა რადიკალურად უნდა გარდაიქმნას, საჭიროა ადგილებზე პრაქტიკული დახმარება. ამ მიზნით ვამუშავებთ რეკომენდაციებს.

ვაჟა შუბლაძე — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, კოლეგიის წევრი:

სამჯერ და მეტჯერ გადააჭარბო წინა თამაშების მონაპოვარს, ეს უდავოდ დიდი გამარჯვებაა. მე არ მეგულება სხვა დარგი, სადაც 3-4 წელიწადში შეიძლებოდა საქმიანობის ეფექტიანობის სამჯერ გაზრდა... თამაშების პრიზიორი მოამზადა ჩვენი საზოგადოების 24 სპორტსკოლამ, 42 სპორტსკოლა კი მედლის გარეშე დარჩა. საგანგაშოდ მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის ნაკრებს ვერც ერთი სპორტსმენი ვერ მისცეს ისეთმა სპორტსკოლებმა, როგორიცაა ჭიდაობაში კასპის (დირექტორი ლ. კაციაშვილი), ცურვაში ბათუმისა და რუსთავის (გ. გიგინეიშვილი, რ. ერვანდიანი), ფეხბურთში ლანჩხუთისა და თბილისის დინამოროვის სახელობის საავიაციო ქარხნის (შ. პატარაია, ა. კოტრიკაძე). არც ერთი მონაწილე არ ჰყოლია თამაშებში რესპუბლიკის 34 რაიონს. 20 რაიონს არც სპორტსკოლა გააჩნია, არც ჯგუფები, არც მწვრთნელის შტატი. მაგრამ სადაც არის? ნაკრებმა შევსება ვერ მიიღო ამბროლაურიდან (საზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარე ო. ქემოკლიძე), ბორჯომიდან (გ. გელაშვილი), სენაკიდან (ყოფილი თავმჯდომარე გ. ჭილაია), გურჯაანიდან (ო. გოდერიძე), კასპიდან (ვ. ოთარაშვილი), ლანჩხუთიდან (ს. ერრდანია), სიღნაღიდან (ო. ბეგაშვილი), ჩხოროწყუდან (ა. ბურაია), წითელი წყაროდან (ვ. პაპიტაშვილი), ხობიდან (დ. თუმბერიძე).

წინსვლის ახალი გზების ძიებისას სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალური დაკვეთის დანერგვას. მეუხედავად უწყებრივობისა, უნდა შეეისწავლოთ ყველა სპორტსკოლა, ზოგს მიეხმაროს პრიორიტეტულად გამაჯანსაღებელი პროფილი, რადგან ისინი 20-30 წელიწადია სპორტში შედეგს არ იძლევიან. გამოთავისუფლებული სახსრები მივცეთ ისეთ სკოლებს, სადაც არის სპორტსმენთა აღზრდის შესაძლებლობა. სოციალურ დაკვეთაში განსაზღვრული იქნებოდა ეკონომიკური წახალისების პირობები.

თანამედროვე პირობებში შეუძლებელია მაღალი რანგის სპორტსმენის აღზრდა სპეციალური ცენტრის გარეშე. პროფკავშირებს ასეთი ცენტრი მხოლოდ მძლეოსნობაში აქვს. ასეთივე ცენტრი უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლაშიც არის. იქნებ 2 ცენტრის არსებობა ფუფუნებაც იყოს. ამ საკითხს შესწავლა უნდა.

თენგიზ ბოლქვაძე — აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე:

თამაშებში ჩვენი შედეგები მოკრძალებულია. გამოუყენებელი რჩება დიდი პოტენციური შესაძლებლობები. მიმდინარეობს ახალი სპორტული ბაზების დაპროექტებამშენებლობა, უფრო მასშტაბურია მომავლის გეგმა. გადავწყვიტეთ აჭარაში ავაგოთ ოლიმპიური მომზადების სპორტული კომპლექსი. ეს საკითხი დაისვა ადგილობრივ მთავრობაში. ახლა პროექტირება შეჩერებულია, საჭიროა 228 ათასი მანეთი, ვფიქრობთ ამ საქმეში დაგვეხმარება საქართველოს სპორტსახკომი.

განვიცდით კადრების ნაკლებობას. არ გვყავს წყალბურთის, წყალში ხტომის, სინქრონული ცურვის, ძალოსნობის, აკრობატიკის, ბატუტზე ხტომის, ტანვარჯიშის სპეციალისტები. 20 სკოლიდან, რომელიც აჭარაში მუშაობს, ნახევარზე მეტს არ აქვს სპორტული ბაზა. სამწუხაროდ არ გაგვაჩნია არც ერთი ოლიმპიური მომზადების სკოლა.

ზოთა ხაბარელი — ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი:

მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს — ქართულ ჭიდაობას. პირველი ღია პირველობა, როგორსაც წელს ვატარებთ ამ სახეობაში უცხოეთის ქვეყნების მონაწილეობით, მეტს გვავალებს.

თბილისში ძიუდოისტთა დარბაზი ვერ უპასუხებს მოთხოვნებს. ჩვენი ოცნებაა მოჭიდავეებს ბაკურიანში ჰქონდეს საკუთარი საწვრთნელი ბაზა.

აკაკი მებრელაძე — უმაღლესი სპორტული დაოსტატების № 1 რესპუბლიკური სკოლის დირექტორი:

სპორტულ თამაშებში 14 ნაკრები გუნდიდან მხოლოდ ორმა (ჩოგბურთი, მოკალრაკე გოგონები) მოიპოვა საპრიზო ადგილი. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სერიოზული ხარვეზები გვაქვს მუშაობაში. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია რეზერვებთან სუსტი მუშაობით, სპორტული ბაზების უქონლობით, შემცირდა რეგიონები, სადაც დანერგილია სპორტული თამაშები.

გაჭირვებით შევადგინეთ კალათბურთში ქალთა ნაკრები გუნდი. ქალთა კალათბურთში გუნდი თუ მხოლოდ თბილისს, ქუთაისს და რუსთავის წარმომადგენლებით დაკომპლექტდა, ხელბურთში, ფრენბურთში და ჩოგბურთში ნაკრებ გუნდებში მოლიანად თბილისელები შევიდნენ. რეზერვებთან ცუდი მუშაობის გამო, თამაშების შედეგების შეჯამებისას სკოლიდან დავითხოვეთ 11 მუშაკი, მათ შორის 9 მწვრთნელი.

თითქმის აღარ იძლევიან სპორტსმენებს ნაკრებ გუნდებში აჭარა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ჩვენ სკოლას საკუთარი ბაზა არ გააჩნია. იჯარის ფასები კი თითქმის გაორმაგდა. გამოვიყენებდით ღია ბაზებს, რაც თბილისის მიკრორაიონებში დღეს ცოტა არაა, მაგრამ არც ერთ მთაგანს არა აქვს გასახდელი და საშხაპე.

ზოთა ხუციერიძე — ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე:

მიუხედავად იმისა, რომ თბილისსა და ქუთაისის შემდეგ ფოთმა, ამ 49 ათასიანმა ქალაქმა, მედლებისა და ქულების სოლიდური რაოდენობა მოუტანეს რესპუბლიკას, კოლეგიის წინაშე გამოვდივარ წინადადებით, რომ კომპლექსურ ღონისძიებებში ნაჩვენები შედეგები შეფასდეს არა ქულებით, არამედ მხოლოდ მოპოვებული მედლების რაოდენობით. ვფიქრობ, ეს გაზრდის პერსპექტიულ სპორტსმენთა დაოსტატებისადმი ინტერესს. ფოთში ნიჩბოსნობის განვითარების შესაძლებლობა უკეთ უნდა გამოვიყენოთ. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. ინტერნატში იქმნება სპეციალური ჯგუფები, პროფკავშირებს ექნება სკოლა, შავი ზღვის ფლოტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ზომები საშუალებას მოგვცემს ნიჩბოსანმა სპორტსმენებმა სამხედრო სავალდებულო სამსახური ფოთში გაიარონ.

მთავარ პრობლემად მაინც რჩება კადრების საკითხი.

•ბადრი მამასახლისი — ვანის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე:

რაიონი იმკვიდრებს რესპუბლიკის ერთ-ერთი სპორტული ცენტრის სახელს. ამ მიმართებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ არის ნაკლოვანებები, ჩამორჩენით ქალთა სპორტში, მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში. ჯერჯერობით ხელშეუხებელი რჩება მთიანი სოფლები, როგორც სპორტული ტალანტების საბადო. აუცილებლად გვჭირდება ჭიდაობის სპორტსკოლა, რის შესახებ საკითხი უკვე დაისვა.

ნინო სალუქვაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი:

საქართველოს ნაკრებ გუნდებს უნდა ჰქონდეთ ეროვნული ელემენტების გათვალისწინებით შექმნილი სპორტული ფორმა, იგი ამავე დროს უნდა გამოირჩეოდეს საუკეთესო ხარისხით და ფერებით. ყოვლად გაუმართლებელია, რომ ტყვიის მსროლელებს რესპუბლიკაში არ გვაქვს ხელიანი სპორტული ბაზა. აუცილებლად უნდა გადაწყდეს თანამედროვე სტანდარტების სასროლეთის მშენებლობის საკითხი. საქართველოს მსროლელებს, კერძოდ, რესპუბლიკის ჩემპიონებს და ჩვენს ნაკრებ გუნდებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად გამოვიდნენ საერთაშორისო ტურნირებში.

მურთაზ მნათობიშვილი — საქართველოს სახალხო განათლების ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი:

რესპუბლიკაში სპორტის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს სრულად ვერ ვიყენებთ თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი სისტემის ბავშვთა და მოზარდთა 140 სკოლიდან მწვრთნელ-მასწავლებელთა მხოლოდ 50 პროცენტს თუ აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება. საერთო საზრუნავად უნდა ვაქციოთ სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების აუცილებლობა. საქართველოს სპორტსახკომმა უნდა ითავოს სპორტული ფორმით და ინვენტარით ცენტრალიზებული მომარაგება. დღეიდანვე სერიოზულად უნდა შევუდგეთ მოსწავლეთა მომავალი საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადებას. ის დიდი წვლილი, რომელიც ახალგაზრდულ თამაშებში შეიტანეს ჩვენმა აღზრდილებმა, მომავალში უფრო სოლიდური იქნება, თუ კვლავაც ერთსულოვნად, უფრო მიზნობრივად გავუძღვებით საქმეს.

კოლეგიის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნუგზარ ენდელაძემ.

• • •

მოკლე ინტერვიუ კოლეგიის შემდეგ რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქისა და რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან.

ვესაუბრებით ოთარ ხომერიკს (ფოთი).

● **როგორ აფასებთ საქართველოს სპორტსახკომის პოზიციას IV ახალგაზრდული თამაშების შედეგების შეფასებაში?**

— დადებითად!

● **რა განაპირობებს თქვენს ქალაქში სპორტული მუშაობის გააქტიურებას?**

— ჩვენი საქმით ხელმძღვანელ მუშაკთა პირადი დაინტერესება.

● **რა უნდა გაკეთდეს რესპუბლიკაში სპორტის შემდგომი განვითარებისთვის?**

— მთლიანად ; და მოიშალოს უწყებრივი ბარიერები, ამაღლდეს სპორტის მუშაკთა ავტორიტეტ საჭიროა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ექსპერიმენტის სახით (კოორდინაციის მოსაწესრიგებლად) სპორტული სკოლები უნდა გაერთიანდნენ უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. სპორტული ბაზების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლებაც არის საჭირო, რათა ამ ბაზებმა სათანადო მასპინძლობა გაუწიონ სპორტსმენებს.

უპასუხებს აბესალომ იორდანიშვილი (დუშეთის რაიონი).

● **თქვენს რაიონში გამოუყენებელი რჩება რეზერვები და შესაძლებლობები, რატომ?**

— მთავარი მიზეზია ორგანიზაციული მუშაობის სისუსტე და ის, რომ სპორტულ ბაზებზე არ არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამეცადინო პირობები. გამოუყენებელი რჩება ბუნებრივი შესაძლებლობებიც.

● **რა უნდა გაკეთდეს?**

— მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არსებული სპორტული ბაზების მოწესრიგება-კეთილმოწყობა, ახლის მშენებლობა, სელექციური მუშაობის გაუმჯობესება, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლება...

უპასუხებს ნოდარ გახოკიძე (აბაშის რაიონი).

● **გაკმაყოფილებთ თუ არა პირადად თქვენ რაიონში მახარობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა?**

— პირადად მე არ მაკმაყოფილებს. ძირითადი მიზეზია სპორტული ბაზები. ამ საქმეში ჩამორჩენის დასაძლევად უკვე იდგმება პრაქტიკული ნაბიჯები. წარმოებადაწესებულებებში არ გვყავს ფიზკულტურის მეთოდისტები. ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში არ არიან კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლები. სპორტულ მუშაობაში ჩვენი სისუსტე კიდევ ერთხელ გამოაჩინა IV საკავშირო ახალგაზრდულმა თამაშებმა, სადაც არც ერთი წარმომადგენელი არ მონაწილეობდა ჩვენი რაიონიდან.

● **როგორ გესახებათ მუშაობის გარდაქმნის გზა?**

— ამ კითხვაზე პასუხი მოკლეა. — უნდა გადაიჭრას ის პრობლემები, რაზედაც უკვე მოგახსენეთ.

უპასუხებს თამაზ ლაშხი (ხაჩხერის რაიონი).

● **როგორ აფასებთ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ბოლო ხანებში მიმდინარე ცვლილებებს?**

— სპორტში მომზდარ და მიმდინარე გარდაქმნებს — დადებითად.

● **თქვენმა რაიონმა უკვე საკმაოდ გაითქვა სახელი სპორტული წარმატებებით, რას მივაწეროთ ასეთი მეტამორფოზა?**

— მთავარი იყო მატერიალურ-სპორტული ბაზის შექმნა. დანარჩენს ჩვენ თავად მივხედეთ.

● **უკეთესობის რეზერვს რაში ხედავთ?**

— მწვრთნელების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში.

უპასუხებს ვაჟა მერკვილაძე (ტყიბული).

● **რა გიშლით ხელს მუშაობაში, რატომ ვერ იყენებთ შესაძლებლობებს?**

— ბევრი სპორტული ბაზა კეთილმოსაწყობია, ქალაქში არ არის სპეციალური მშენებარე ორგანიზაცია. მსხვილი ორგანიზაციები, რომელთა ბალანსზეც ეს ბაზებია, ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ.

● **როგორ სრულდება კულტურულ-სპორტული კომპლექსის პროგრამა?**

— ზემოაღნიშნული მიზეზები, ცხადია, გავლენას ახდენს პროგრამის შესრულებაზე. უკეთესია საქმე ადგილებზე, მაგალითად, მეტწილ შახტებში, სადაც კარგად იყენებენ კულტურულ-სპორტულ ობიექტებს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის შეხვედრათა ტექნიკურ მონაცემებს.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ 0:0.
დუბლიორები — 1:2.

„უალგირისი“ — „შახტიორი“ 3:0 (2:0). გოლები: ნარბეკოვასი, სუკრისტოვი-2.
გააფრთხილეს „შახტიორის“ ფეხბურთელი შჩერბაკოვი.
დუბლიორები — 4:0.

„დინამო“ (კიევი) — „არარატი“ 4:1 (3:0). გოლები: რაცი, სალენკო, პროტასოვი, კუზნეცოვი („დინამო“), ოვსეპიანი („არარატი“).
გააფრთხილეს ერევნელი ხაშმანიანი.
დუბლიორები — 2:1.

„დნეპრი“ — „როტორი“ 3:1 (1:0). გოლები: სიდელნიკოვი, ბაგმუტი, იაროვენკო („დნეპრი“), ნიკიტინი („როტორი“).
დუბლიორები — 4:1.

„ჩერნომორეცი“ — „მეტალიხტი“ 2:0 (0:0). გოლები: კონდრატიევი, შელეპინიკი.
გააფრთხილეს ოდესელი კონდრატიევი და ხარკოველები კოლოკოლოვი და სუსლო.
დუბლიორები — 1:3.

„პამირი“ — „ზენიტი“ 2:0 (1:0). გოლები: აზიმოვი, მუჰამადიევი.
გააფრთხილეს „ზენიტის“ ფეხბურთელი აფანასიევი.
დუბლიორთა შეხვედრა არ გამართულა.

„დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ 0:1 (0:0). გოლი: ჩერენკოვი.
დუბლიორები — 1:2.

● **საკავშირო** ჩემპიონატის მატჩებს უმაღლესი ლიგის გუნდების მონაწილეობით დღემდე სულ 4.095.635 მაყურებელი დაესწრო. მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩზე დაზუსტებული ცნობით 2.500 მაყურებელი მოვიდა.

● **ნდ-ე ჩემპიონატში** სულ 474 გოლი გავიდა, რომელთაგან 302 მასპინძლებს ეკუთვნით და 172 — სტუმრებს (საშუალოდ 2,12 გოლი ყოველ თამაშში).

● **ჩემპიონატის** დაწყებიდან მასპინძლებმა 112 მატჩი მოიგეს, სტუმრებმა კი მხოლოდ 39. ფრედ დამთავრდა 72 შეხვედრა.

● **ბომბარდირთა** დავაში კვლავინდებურად წინაა სპარტაკელი ს. როდიონოვი, რომელმაც 16 ბურთი გაიტანა. ოდესელი გ. კონდრატიევის ანგარიშზეა 13 გოლი, მოსკოვის დინამოელებმა ი. დობროვოლსკის და ი. კოლივანოვმა 11-11 ბურთი გაიტანეს.

● **ფლეშანდელ** გათამაშებაში ზედიზედ მე-12 მატჩი წაუგებლად ჩაატარეს კიევის დინამოელებმა. ასეთივე სერია ჰქონდათ სპარტაკელებსაც.

● **I ლიგის** მატჩში ცსკა-სა და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის (8:1) ცსკა-ს კარში ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა ტორპედოელმა თევზაძემ (11-მეტრიანით). გააფრთხილეს ბაკურაძე.

● **ტიუმენის** „გეოლოგისა“ და ბათუმის „დინამოს“ მატჩში (1:1) ბათუმელთაგან ბურთი გაიტანა ბიგვავამ. გააფრთხილეს ზედანია.

● **ლანჩხუთის** „გურიამ“ განვლილ ტურში თავის მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხა ორჯონიკიძის „სპარტაკი“. ბურთი გაიტანა ჟორდანიამ.

● **ლიგის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავ წინაა ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი მ. მეგრელაძე — 26 ბურთი. ორი ბურთით ნაკლები გაიტანა სიმფეროპოლის „ტავრიის“ ფეხბურთელმა ა. გაიდაშმა.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	28	17	8	3	60-21	42
„დინამო“ მნ.	28	18	5	5	54-27	41
„დნეპრი“	28	16	8	4	41-25	40
„დინამო“ კ.	28	16	7	5	54-20	39
„უალგირისი“	28	15	7	6	47-23	37
„დინამო“ თბ.	28	11	8	9	44-40	30
„ლოკომ.“	28	12	4	12	45-29	28
„დინამო“ მ.	28	12	4	12	43-44	28
„ტორპედო“	26	9	10	7	32-31	28
„არარატი“	28	9	7	12	34-52	25
„შახტიორი“	28	8	5	15	27-44	21
„მეტალ.“	27	8	5	14	27-44	21
„პამირი“	27	6	6	15	25-52	18
„ზენიტი“	27	6	4	17	22-49	16
„როტორი“	26	5	5	16	22-52	15
„ჩერნომ.“	27	4	5	18	31-56	13

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

დღეს მეორე ტურის მატჩებია

ფეხბურთში ევროპის საკლუბო გათამაშებებში საბჭოთა გუნდებმა წლეულს წარმატებით აღიეს სტარტი: სამივე ტურნირის ყველა მონაწილე (6 გუნდი) გავიდა გათამაშების II ტურში და განაგრძობს ბრძოლას პრიზებისთვის. პირველი ტურის მატჩებში საბჭოთა გუნდებმა წარმატებას მიაღწიეს, 12 მატჩში მათ გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო შეფარდება აქვთ (22:4), თუმცა, უნდა ითქვას, რომ საკლუბო ტურნირების სტარტზე, მცირე გამონაკლისის გარდა, ძლიერი მეტოქეები მათ არ ჰყოლიათ. მერე და მერე, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეებად გაცილებით უფრო ძლიერი გუნდები ეყოლებათ.

II ტურში ჩვენს გუნდებს შემდეგ მეტოქეებთან უწევთ თამაში:

ჩემპიონთა თასი

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ტიროლი“ (ავსტრია)

თასეგის მფლობელთა თასი

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია)

უეფა-ს თასი

„კიოლნი“ (გფრ) — **„სპარტაკი“ (მოსკოვი).**
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — **„უალგირისი“ (ვილნიუსი)**
„დინამო“ (კიევი) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია)
„შტუტგარტი“ (გფრ) — **„ზენიტი“ (ლენინგრადი).**

პირველი მატჩები დღეს შედგება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე, 1 ნოემბერს გაიმართება საპასუხო შეხვედრები.

როგორც ხედავთ, ჩვენს მეტოქეთა შორის არიან ავსტრიის „ტიროლი“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კიოლნი“ და „შტუტგარტი“, იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“, ჩეხოსლოვაკიის „ბანიკი“. საკონტინენტო ფეხბურთში ესენი აღიარებული ძალაა და ახლა ძნელიც კია იწინასწარმეტყველო რომელ წყვილში ვინ მიაღწევს წარმატებას. ისეთი იოლი მეტოქეები, როგორებიც პირველ ტურში იყვნენ ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდი“, ირლანდიის „კორკ სიტი“, დანიის „ნესტვედი“ უკვე აღარაა, შეჯიბრებას შემორჩენ ძლიერი, აღიარებული გუნდები. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ პირველი ტურის შეხვედრებში მინდვრიდან გააძევეს სპარტაკელი ვ. პასულკო, დნეპროპეტროვსკელი ვ. ტიშჩენკო და კიეველი ო. პროტასოვი. მათ სათანადო სასჯელები გამოუტანეს, ამიტომაც, ცხადია, ჩვენი ეს სამი გუნდი შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს.

ევროპული ტურნირების მეორე წრეში ჩემპიონთა თასზე დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, იტალიის „მილანისა“ და მადრიდის „რეალის“ შეხვედრა, დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი ჰოლანდიის „ეინდჰოვენსა“ და რუმინეთის „სტიაუას“ შორის. თასების მფლობელთა თასის ტურნირში ესპანეთის „ბარსელონამ“ თავის მინდორზე უნდა მიიღოს ბელგიის „ანდერლეჰტი“, იტალიის „სამპდორიამ“ კი უმასპინძლოს დორტმუნდის (გფრ) „ბორუსიას“.

უეფა-ს თასზე საინტერესო ბრძოლა გაიმართება პორტუგალიის „პორტოსა“ და ესპანეთის „ვალენსიას“ შორის. ძნელი გამოსაცნობია, ვინ გაიმარჯვებს ესპანეთის „სარაგოსასა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგის“ შეხვედრაში. ამიტომაც მით უფრო საინტერესოა მეორე ტურის შეხვედრები.

დაინტერესებულ გულშემატკივრებს ვაცნობებთ, რომ შემდგომი, 1990-91 წლების ევროპის საკლუბო გათამაშებებში ესპანეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია გამოიყვანენ 4-4 გუნდს, ბელგია, ჰოლანდია, სსრ კავშირი, პორტუგალია და შოტლანდია — 3-3 გუნდს, რუმინეთი, საფრანგეთი, შვეიცია, იუგოსლავია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, ფინეთი, დანია, უნგრეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი — 2-2 გუნდს, ხოლო პოლონეთი, თურქეთი, ალბანეთი, ნორვეგია, კიპროსი, ჩრდილოეთ ირლანდია, ისლანდია, მალტა, ლუქსემბურგი და ირლანდია — თითო კლუბს.

დღევანდელ შეხვედრათა ტელეტრანსლაცია 20 საათიდან იწყრმოებს თბილისის დროით.

რა კომფორტზეა ლაპარაკი...

გულდაწყვეტილები დაბრუნდნენ მოსკოვიდან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ „ლოკომოტივთან“ მატჩში ბოლო წუთებზე ხელდან გაშვებული ფრე როდი გახლდათ. იყო კიდევ ერთი მიზეზი, რამაც თბილისელებს ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე გაუფუჭა ხასიათი. მოვუსმინოთ გუნდის უფროსს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ვლადიმერ გუცაევს:**

— ჩვენი გუნდის სათადარიგო შემადგენლობა მოსკოვში 12 ოქტომბერს, სალამოს ჩაფრინდა, ძალზე გაოცებული დარჩნენ მოთამაშეებიც და გუნდის ხელმძღვანელობაც, როდესაც მასპინძლებმა ისინი „ლოკომოტივის“ სასტუმროში მიიყვანეს, რომელსაც შესასვლელზე ეწერა... „რემონტი“. მართლაც, სასტუმროში გაგანია რემონტი იყო, რაზეც ნათლად მეტყველებდა შეუმშრალი საღებავის სუნი, ფარდების, პირსახოცებისა და ა. შ. უქონლობა. დამეთანხმებით, ასეთ პირობებში მატჩისათვის მზადება ძალზე რთულია.

ძირითადი შემადგენლობისთვის არც ამ სასტუმროში, არც სხვაგან, საერთოდ არ აღმოჩნდა ადგილები. დახმარებისთვის „დინამოს“ ცენტრალურ საბჭოს მივმართეთ. ოქაურმა თანამშრომლებმა რის ვაივაგლახით გაგვიხერხეს ადგილები „იზმაილოვოს“ კომპლექსში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამაზეც მადლობას ვუხდით მათ. „ლოკომოტივს“ კი არსად არ ვუსურვებთ ისეთ გულცივ შეხვედრას, როგორიც მათ ჩვენ მოგვიწყეს დედაქალაქში.

„სოვეტსკი სპორტი“, 17.X,1989 წ.

არბიტრების „ქრონიკული“ შეცდომები

დღეს „სოვეტსკი სპორტიდან“ გადმოვბეჭდეთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსის ვ. გუცაევის მცირე შენიშვნა იმის თაობაზე, თუ როგორ უგულისყუროდ მოექცნენ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელები თბილისის „დინამოს“ დუბლიორ ფეხბურთელთა გუნდს და მერეც, როცა მოსკოვში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჩავიდნენ, სტუმარ-მასპინძლობის მთავარი პრობლემები და გუნდის დაბინავების საქმე ისევ და ისევ სტუმრებს დაეკისრეს.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მიმომხილველთა შენიშვნებიც, რომლებიც უშუალოდ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „დინამოს“ ძირითადი გუნდების შეხვედრაში მომხდარ ამბავს ეხება. „სოვეტსკი სპორტის“ მიმოხილველი ლ. ტრახტენბერგი აღნიშნავს, რომ იმ მომენტში, როცა „ლოკომოტივმა“ მეორე ბურთი გაიტანა, გვერდითმა მსაჯმა ა. რეზეპოვმა (ვილნიუსი) არბიტრს დროშის აწევით ამცნო, რომ ლოკომოტიველი რიბაკოვი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ არბიტრმა ი. მილიაუსკასმა (ალიტუსი) თამაშგარე მდგომარეობა არ მიიჩნია, საამისო საბოლოო გადაწყვეტილება კი მხოლოდ არბიტრს გამოაქვს.

„სოვეტსკი სპორტის“ მომდევნო, 17 ოქტომბრის ნომერში მიმომხილველი ვ. პახომოვი კვლავ უბრუნდება მატჩის ამ მომენტს და აღნიშნავს, რომ გვერდითმა მსაჯმა ნათლად და ყველას დასანახად აწია დროშა, რაც რიბაკოვის თამაშგარე მდგომარეობას აღნიშნავდა. ლ. პახომოვიც მიუთითებს, რომ ი. მილიაუსკასმა ყურადღება არ მიაქცია გვერდითი მსაჯის სიგნალს და მიიჩნია, რომ მისი თანაშემწე შეცდა.

რაღაც, ჩვენი ფეხბურთის მსაჯები ხშირად „ცდებიან“ თბილისის „დინამოს“ საწინააღმდეგოდ...

I ლიგა

გუშინ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-40 ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ შინ შეხვდა ბაქოს „ნეფთჩის“, მატჩის ანგარიშია 2:0 „გურიის“ სასარგებლოდ.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:0, „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) — „გოიზანი“ (ყაზანი) 1:0, „ქალაფაზი“ (კიროვაბადი) — „დილა“ (გორი) 3:1, „ყარაბაღი“ (აგდამი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0, „ტორპედო“ (ვოლესკი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:2, „ატომმაში“ (ეოლგოდონსკი) — „ეოლხეთი“ (ხობი) 0:2, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 3:1, „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 4:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 3:0, ომც (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყ.) 2:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ს.	39	27	7	5	85-20	61
„ტექსტილ.“	41	24	8	9	82-31	56
„კოლხ.“ ფ.	39	23	8	8	64-33	54
„ლოკომ.“ ს.	39	22	7	10	68-44	51
„კოლხ.“ ხ.	40	21	9	10	63-46	51
„დილა“	40	22	6	12	88-45	50
„ნარტი“	40	22	4	14	67-43	48
„გოიზანი“	41	22	3	16	62-48	47
„ქალაფაზი“	41	20	6	15	68-54	46
„ზვეზდა“	41	18	5	18	64-69	41
„ყარაბაღი“	41	17	7	17	49-74	41
„ხაზარი“ ს.	41	16	9	16	62-59	41
„მერცხალი“	39	16	6	17	60-55	38
„მეტალ.“	40	14	10	16	64-66	38
„ტორპედო“	39	15	7	17	56-36	37
„ლოკ“. მ. წყ.	41	14	8	19	49-61	36
„დინამო“ მ.	41	10	13	18	53-56	33
„ხაზარი“ ლ.	41	14	4	23	34-12	32
„ატომმაში“	40	12	5	23	53-79	29
„შევარდენი“	41	11	6	24	48-77	28
„ტერმისტი“	41	7	5	29	31-92	19
ომც	40	4	1	35	41-130	9

იტალია-90



მსოფლიო ჩემპიონატი

კოლუმბიის ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასასვლელი პირველი შესარჩევი მატჩი გამართეს საკუთარ მინდორზე ისრაელის რაკრებთან.

კოლუმბიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ახლა ისინი ისრაელელებს საპასუხო მატჩში უნდა შეხვდნენ 30 ოქტომბერს თელ-ავივში. ფინალისტის ვნახაობა გაირკვევა ორი შეხვედრის ჯამში.

სინგაპურში დაიწყო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ფინალური გათამაშება აზიის ჯგუფში. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და არაბეთის გაერთიანებული ემირატების გუნდების შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0, ხოლო ჩინელებმა 2:1 დაამარცხეს საუდის არაბეთის ნაკრები.

პირველ აცდენამდე

დავით ქვათაძის წარმატება

ყველა ძირითადი და ფინალური ხერია არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ გამოვლენილიყო საკმაოდ პრესტიჟული საკავშირო ტურნირის — უმაღლესი ოსტატობის სპეციალიზებული სკოლების ტრადიციული პირველობის გამარჯვებული სახტენდო სროლაში.

შეჯიბრების ლიდერებს, თბილისელ დავით ქვათაძესა და რიგელ ბორის ტიმოფეევს თანაბარი შედეგი, 222-222 ქულა ჰქონდათ. მართალია, ასეთივე მაჩვენებლით დაამთავრა ტურნირი კიდევ ერთმა მონაწილემ, როსტოველმა ნიკოლაი ტიოპლიმ, მაგრამ იგი ბოლო სერიებში მეტოქეებზე უარესად ისროდა, წესით კი თანაბარი შედეგების შემთხვევაში იმ მსროლელს ენიჭება უპირატესობა, ვინც დასკვნით სერიაში უკეთესად იასპარეზებს.

მოლიანად, მონაწილეთა შედეგების სტაბილურობა ბრძოლის დიდ სიმძაფრეზე მიგვანიშნებს. მაგალითად, ძირითადი 8 სერიის შემდეგ ოთხ მესტენდურეს 197-197 ქულა ჰქონდა მოგროვებული...

და რადგან ტამოფეევსა და ქვათაძეს ყველა ასპექტში თანაბარი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ, მათ შორის დაინიშნა „დუელი“ პირველ აცდენამდე. ბედმა რიგელს გაუღიმა (იგი ქვეყნის ნაკრების წევრია), რომელმაც გამარჯვება მოიპოვა. 28 წლის დინამოელ მსროლელს, დავით ქვათაძეს (მწვრთნელი ტარიელ ჟღენტი) ვერცხლის მედალი გადაეცა. აღსანიშნავია მისი შედეგიც: 222 ქულა მაღალ მაჩვენებლად ითვლება „სასტენდო სროლაში“, მაგალითად, „ევროპა-შორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი 2 ქულით ნაკლებია.

ადგილიდან სროლაში, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის გუნდიდან ყველაზე უკეთესად 21 წლის ზაზა ზანდარაშვილმა იასპარეზა, რომელმაც 185 ქულა მოაგროვა (ძირითადად სერიებში) და X ადგილი დაიკავა.

ფოტოზე: დავით ქვათაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ახალგაზრდა ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირველობა

ვიდრე ძლიერები ვართ

საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა პირველობაში, რომელსაც ბათუმმა უმასპინძლა, ყველაზე ძლიერი გუნდი გორელებმა გამოიყვანეს, რომლებმაც აჯობეს თავის ძირითად მეტოქეს, თბილისის ნაკრებს. ამ შედეგებში მოულოდნელი თითქმის არაფერია. ცოტა არ იყოს საკვირველი იყო ის, რომ მეხამე ადგილზე მასპინძელთა გუნდი გავიდა, რაც მათ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

შეჯიბრებაში სულ 13 გუნდი მონაწილეობდა, ეს აშკარად მცირე რიცხვია რესპუბლიკური პირველობისათვის. ქუთაისის, ახმეტის, ლენტეხის, რუსთავის, სოხუმის, მესტიისა და ზესტაფონის მოჭიდავეები არ გამოცხადდნენ, რაც ძალიან დიდი დანაკლისი იყო.

გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას: **60 კგ.** ზაზა სააკაშვილი; **65 კგ.** გია ავაზნელი (ორივე — გორი); **71 კგ.** ბესიკ ხაჩიშვილი (გურჯაანი); **76 კგ.** თამაზ მუთოშვილი (თელავი); **86 კგ.** ალექსი მირზაშვილი (საგარეჯო); **95 კგ.** რამაზ წიკლაური; **+95 კგ.** დავით ჩოჩიშვილი (ორივე — გორი).

ანზორ მარტყოფლიშვილი, ჭაბუკთა რესპუბლიკური ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

რედაქციისაგან: ჩვენში ძიუდო ახლა აშკარად აღმავლობის გზაზეა, მაგრამ სპორტში მოვლენები მეტად სწრაფად იცვლება და იმის უფლება აღარ გვრჩება, რომ უურადღების მოდუნების საშუალება მოვცეთ თავს. ერთხელ გამოჩენილ უყურადღებობას თუ დაუდევრობას შეიძლება სხვაც მოჰყვეს და ამან საქმე წაახდინოს. რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს მართებული, რომ ამდენმა გუნდმა, ისიც ჩვენი ძიუდოს აღიარებული ცენტრებიდან, თავი აარიდა რესპუბლიკურ პირველობას.

ჩოგბურთის ამბები

ვენა. „გრან პრის“ პროგრამით მიმდინარე ტურნირის პირველ წრეში შვედმა ანდერს იარიდმა დაამარცხა თანაგუნდელი კრისტიან ბერგსტრიომი 7:5, 6:1. სტარტზევე შეხვდნენ ერთმანეთს ავსტრიელი ჩოგბურთელები თომას მუსტერი და მიჰაელ ბაუერი. გაიმარჯვა მუსტერმა — 6:4, 6:2.

ტოკიო. იაპონიის. დედაქალაქში დაიწყო პოპულარული ტურნირი „სეიკო სუპერი“. დასავლეთგერმანელმა კარლ-უვე შტეებმა დაამარცხა ამერიკელი პატრიკ მაკინროი 6:4, 6:2. ავსტრალიელმა ჯონ ფიტცჯერალდმა აჯობა შვედ თომას ჰოგსტედტს 6:3, 6:2.

ციურიხი. იუგოსლავიელმა მონიკა სელეშმა, რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, აქ მიმდინარე ტურნირის სტარტზე მოუგო ადგილობრივ ჩოგბურთელს ემანუელა ცარდოს 6:1, 6:2. მოულოდნელი დამარცხება განიცადა ერთ-ერთმა ფავორიტმა ბულგარელმა მანუელა მალეევამ ფრანგ ნატალი ტოზიასთან ორთაბრძოლაში — 2:6, 2:6.

ბაზონა (საფრანგეთი). აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში პირველ ნომრად განთესილმა ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა ადვილად მოუგო ფრანგ შეიდა ლავალს — 6:0, 6:1.

სახანძრო-გამოყენებითი სპორტი

როცა პროფესიული ოსტატობა, სპორტული ოსტატობასთან

უკვე ოცი წელია, საქართველოს ნაკრებს სახანძრო-გამოყენებით სპორტში ახალი წარმატებისთვის არ მიუღწევია: IV ადგილი საკავშირო ჩემპიონატში, სადაც 17 გუნდის 140 სპორტსმენი გამოდიოდა, უდაოდ კარგი შედეგია და მომავლისთვის გარკვეულწილად, ოპტიმისტურ განწყობილებას ქმნის.

სახანძრო-გამოყენებით სპორტს საქართველოში თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს. პირველად, საკავშირო ზონალური შეჯიბრებები თბილისში 1946 წელს ჩატარდა. მაშინ საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. შემდგომ წლებში წარმატებაც ბევრი იყო და წარუმატებლობაც, აღიზარდა მეხანძრე სპორტსმენთა მთელი პლეადა, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. 1975 წლიდან თბილისში ყოველწლიურად ტარდება საქართველოს ღია ჩემპიონატი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული მეხანძრისა და სპორტსმენის ბონდო შანიძის მემორიალის სახელს ატარებს.

სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უკვე 20 წელია, საკავშირო პირველობაზე რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის ქართველ სპორტსმენებს აღარ მიუღწევიათ. და აი, რამოდენიმე დღის წინ ქუთაისში ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა (მწვრთნელები ვასილ ნანუაშვილი და მარლენ ჯაყელი) IV ადგილი დაიკავა ისეთი ძლიერი გუნდების შემდეგ, როგორიცაა უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსიის მეხანძრეთა ნაკრებები. აქვე უნდა ითქვას, რომ, თუ სხვა რესპუბლიკების გუნდებში არიან ისეთი სპორტსმენებიც, რომლებსაც მხოლოდ სპორტი აკავშირებთ სახანძრო სამსახურთან, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები მთლიანად მომქმედი მეხანძრეებითაა დაკომპლექტებული.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ასპარეზობა ჩინებულად იყო ორგანიზებული და ქუთაისის მცირერიცხოვანმა გარნიზონმა (უფროსი ოთარ ჭაბუკიანი) კარგად გაართვა თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

მიუხედავად ცუდი ამინდისა სპორტსმენებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს. დამყარდა ერთი საკავშირო და ერთიც საქართველოს რეკორდი (სახანძრო ესტაფეტაში 4X100). რესპუბლიკის ნაკრების წევრი, ფოთელი ზურაბ შეროზია საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს.

საერთოდ, ჩემპიონატმა ბევრი ახალი, პერსპექტიული მეხანძრე-სპორტსმენი გამოავლინა.

აქვე გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას: ზურაბ შეროზია, სოკრატ ბაირამიდი (ორივე — ფოთი), ვარდენ რუსიაშვილი (ოზურგეთი), მერაბ გალოგრე, ჯემალ გაგლოევი, გურამ ცეცხლაძე, სულიკო ვარშანიძე, არტაშ ოგანეზოვი (ყველა — რუსთავი), მერაბ ცინცაძე (ბათუმი), მერაბ მიქელაძე, დავით ჩიტაიშვილი (ორივე — თბილისი), ლეონიდ ვოიცუკი (სოხუმი).

ცხადია, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მიღწეულით არ დაკმაყოფილდებიან და მომავალში კიდევ უფრო ხელშესახებ წარმატებებს მიაღწევენ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სახანძრო-გამოყენებითი სპორტი ძალზე დიდ დახმარებას უწევს მეხანძრეებს თავიანთი პროფესიული დონის ამაღლების საქმეში.

„აიას“ ავტორიტეტი იზრდება

რაც დრო გადის, ფოთი წყალსათხილამურო სპორტის სპეციალისტთა სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს. აქ უცხოელი სპეციალისტებიც იგულისხმებიან. დასტურად კი ისიც გამოდგება, რომ 1990 წლის სექტემბერში ჩვენი ეს პატარა შავიზღვისპირა ქალაქი და მისი შესანიშნავი ბაზა „აია“ წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

მანამდე კი, ბუნებრივია, ყუურადღების ცენტრში გახლავთ ფოთში გამართული ყველა შეჯიბრება ამ სახეობაში. ერთი ასეთი შეჯიბრება — სსრ კავშირის თასის გათამაშება აქ ამას წინათ გაიმართა. სწორედ იმიტომ, რომ ამ ქალაქში ჩატარდება ევროპის მომავალი ჩემპიონატი, შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ფრანგმა სპორტსმენებმა. სპორტსმენები გამოდიოდნენ სპორტსაზოგადოებისა და უწყებების საკავშირო ნაკრებ გუნდებში. ამჯერად მასპინძლები მაინცდამაინც საგულისხმო შედეგებით არ გამოირჩეოდნენ. მხოლოდ ეგ იყო: ფოთელმა ვასილი ბუდუროვმა ყველაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა საჩვენებელ გამოსვლაში. ოფიციალურ შეჯიბრებისას დამყარდა ერთი საკავშირო რეკორდი, ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრმა ნატალია რუმიანცევამ ძველი მიღწევა გაუუმჯობესა სლალომში. ფრანგმა მარტინ პატრიკმა ფიგურულ სრიალში 1070 ქულა დააგროვა, ასეთი შეფასება ჯერჯერობით არც ერთ საბჭოთა სპორტსმენს არ დაუმსახურებია.

— ძალიან კოლორიტული და სპორტსმენებისთვის ხელსაყრელი ბაზა გაგიშენებიათ. ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად უკეთეს ადგილს ალბათ ვერც ვინატრებდით, — თქვა მ. პატრიკმა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. პროფკავშირთა პირველი ნაკრები — 7080 ქულა; 2. „შრომითი რეზერვების“ პირველი ნაკრები — 6950; 3. საფრანგეთის ნაკრები — 6619. შეჯიბრება ჩინებულად იყო ორგანიზებული, რაშიაც დიდი წვლილი მიუძღვით ქალაქის ხელმძღვანელობას და სპორტის ამ სახეობაში ფოთის ფედერაციას (თავმჯდომარე რ. მელია).

ტრისტან მანია,
„ლელოს“ საკ. კორ.

ფოთი.

კალეიდოსკოპი

● **საბაიდარო** ნიჩბოსნობისა და კანოეს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა სერჯო ორსიმ (იტალია) განაცხადა, რომ ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მისი სპორტის წარმომადგენლები ცალკე იასპარეზებენ (სპეციალური სანიჩბოსნო არხზე), აკადემიური ნიჩბოსნობის წარმომადგენლები კი ცალკე. იგივე აზრი გამოთქვა „აკადემიკოსთა“ საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა თომას კელერმა (შვეიცარია).

● **რუმინელი** კანოისტი ივან პაკაიკინი უნიკალური ოლიმპიური „რეკორდის“ მფლობელია. 1968 წლიდან მოყოლებული 1984 წლის ჩათვლით იგი ხუთ ოლიმპიადაში მონაწილეობდა და ყოველ მათგანში თითო ოქროს მედალს იმსახურებდა. არა და მისი ფიზიკური მონაცემები თითქოს არ უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს. პაკაიკინი 180 სმ. სიმაღლისაა და 68 კილოგრამს იწონის.

„სპორტპროგნოზი“

სსრ კავშირის ჩემპიონატში მოსკოვის „სპარტაკის“ თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები

(6 ივლისი — 13 ოქტომბერი)

1-2, 2-X, 3-1, 4-X, 5-X, 6-2, 7-1, 8-X, 9-2, 10-X, 11-1, 12-X, 13-2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ათლეტიზმი

მაგალითის ძალა

დიდია მაგალითის ძალა. ათლეტიზმში საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორს შოთა ბეჟაშვილს მშობლიურ ქალაქ სიღნაღში ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. ათლეტიზმის კლუბი, რომელსაც იგი მეხუთე წელია ხელმძღვანელობს, სულ უფრო მეტ თანამოაზრეს იძენს. ახლა კლუბი 20-ზე მეტ ახალგაზრდას აერთიანებს.

კლუბის პოპულარიზაციას ისიც უწყობს ხელს, რომ უკანასკნელ ხანს გაიზარდა მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა. მარტო გასულ თვეებში აქ ათამდე შეჯიბრება გაიმართა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ათლეტურ ხუთჭიდში ასპარეზობამ, სადაც მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ ანაგელი, ვაქირელი, ქვემო მაჩხაანელი და სხვა სოფლის წარმომადგენლები.

მსაჯებმა მონაწილეებს პირველად 24 კილოგრამიანი გირის უკუგდებაში უხმეს. შემდეგ გაიმართა შეჯიბრება 30 მეტრზე ტონანახევრიანი ავტომანქანების გადაგორებაში, 50 კილოგრამიანი ტომრით 50 მეტრზე გარბენში, 200 კილოგრამიანი ურიკით 50 მეტრზე რბენაში და ძალის მზომის აპიმვაში.

ხუთჭიდის ჯამში გაიმარჯვა ვაქირელმა დავით კორახაშვილმა, მეორე ადგილზე ანაგელი კოტე გოგოლაშვილი გავიდა, მესამეზე — სიღნაღელი კარლო მირიანაშვილი.

გამარჯვებულნი საკმაოდ სოლიდური პრიზებით დაჯილდოვეს. მაგალითად, დავით კორახაშვილს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსმა ხვთისავარ მჭედლიშვილმა, სიგელთან ერთად, საჩუქრად ხელის ტრაქტორი გადასცა. მტვერსასრუტითა და ელექტროსაპარსით დაჯილდოვდნენ კოტე გოგოლაშვილი და კარლო მირიანაშვილი.

მომავალ ასპარეზობებში „ამირანი“ ათლეტებს სრულიად საქართველოდან იწვევს.

იზა ყანდაშვილი.

სიღნაღი.

ასკო — დაზღვევის საერთაშორისო დონე! ● გამჭრიახი კაცი საქმეს არ დაიწყებს გარანტიის გარეშე

ბაისხენოს თითოეულმა კოოპერატორმა: რა შრომის, ხარჯის, წინაალმდეგობების დაძლევის ფასად დაუჯდა კოოპერატივის შექმნა, მისი წელში გამართვა...

რისკი ყველა საქმეს ახლავს, მით უფრო ახლავს რისკი კოოპერატივს, ახალ საქმეს, რომლისადმი ჯერჯერობით არც დამოკიდებულებაა ერთმნიშვნელოვანი და არც მომავალია ნათლად გამოკვეთილი.

ვთქვათ და გიმტყუნათ ილბალმა? შესძლებთ ყველაფერი ხელახლა დაიწყოთ ნულიდან?

აი, როდის გამოგადგებათ გარანტია, რომელსაც იძლევა ასკოს საადაზღვევო პოლისი!

ასკო — ახალი საკავშირო საადაზღვევო საზოგადოება გთავაზობთ ახალი დონის მომსახურებას, რაც ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს.

ასკოს შეუძლია დაზღვიოს ყველაფერი: კოოპერატივის შენობიდან აღჭურვილობითა და ნედლეულით დამთავრებული.

ასკო ოპერაციებს ახორციელებს ბაზრის ფასების მიხედვით: ნედლეული და აღჭურვილობა შეგიძლიათ დააზღვიოთ იმ კოეფიციენტების გათვალისწინებით, რაც მათში გაქვთ გადახდილი.

ასკო ითვალისწინებს ინფლაციის დონეს: ზარალის ანაზღაურება ხდება დღეისათვის არსებული რეალური ფასების მიხედვით.

ასკო გაიზიარებს თქვენი რისკის ყველა ხარისხს: ახალ საქმეს რომ იწყებთ, შეგიძლიათ დააზღვიოთ სახსრები, რომლებსაც ამ საქმეში აბანდებთ.

ასკო მუშაობს ოპერატიულად: დაზღვეული ქონების ღირებულების ანაზღაურება მოხდება 72 საათის განმავლობაში.

კოოპერატორო! დააზღვიეთ თქვენი წამოწყება!

ენდეთ ასკოს!

ასკო გენდობათ თქვენ!

დარეკეთ ტელ: 99-00-25. მისამართი რუსთაველის პრ. 27, მე-3 სართული, **ხარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“**, საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-29-55,
სამდივანი — 93-27-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-27-56,
„ეროვნული“ — 93-27-28, „მართვა“ — 93-27-27.

ჩვენი ინდექსი 60423

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბატალია. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. ანაბეჭდია ოფსეტური წესით ხავაზეთი კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 524